სახალხო გაზეთი

№ 1103 ხუთშაბათი, 30 იანვარი 1914 წ. № 1103

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დანეკრ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამოს 4 საათამდე დირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით ხტამბა „ზრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ელირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავეჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიხაილოვის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდენი.

წელის მოწერა „ხალხის გაზეთი"-ს რედაქციაში ზოსაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ხალხის გაზეთი"-ს რედაქციაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდ. კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, 5-დან 7-მდე.

წელ-მოუწერელი წერილები, ხალამოთი 5-დან 7-მდე.

წერილები და კორესპონდენციები აიღებეტდება; დაუბეჭდავი მცირე თვით მხოლოდ დიდი წერილები და მ. . . . ინახება; ინანება ერთის პარაკეტა შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქ. . . . ; ინახება; ინანება ერთის ხაათიდან ნაშუადღევის 3 ხაათამდე. ადრესის ბ. . . . პირადად ძოლა-ოდ, დილის 10 . . . 10 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „ხალხის გაზეთი" 190.

№ 12-ა

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ., ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მოწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ძველთველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მინერალი შარაბანდელი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულიდან სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო ძრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლელ ფასი ტფილისსა ტფილისის გარეშე, ან ტფილისიდან გარეთ ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შეტყობინებებში უფასოა.

სამი აგვანი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მოწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადახადონ ნაწილოგით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თებათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გაგზავნა შეიძლება ხმოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „ხალხის გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. ბ. წ.-კ. გამგეობ. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე

ა. ს. გრიბოედოვის

საფლავზე (მამა დავითის ეკლესიის ეზოში), მისი სულის მოსახსენებლად, გადახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალების 85 წლის თავზე. 1039

კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული თარხან-მოურავისა შვილებიოურთ, კნ. დარია ლევანის ასული ანდრონიკაშვილისა და კნ. ალექსე ალექსანდრეს ასული ბებუთაშვილისა აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ 27 იანვარს უეცრად გარდაიცვალა პირველისა ძვირფასი მეუღლე და მამა, დანარჩენების ღვიწყალი სიძე

თავ. ილია მიხეილის ძე თარხან-მოურავი

სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი. პანაშვიდი 29 იანვარს, საღამოს 7 საათზე; გაცოცხლება ხუთშაბათს, 30 იანვარს, დღის 10 საათ. ბინიდან, გუდოვიჩის ქ. № 9. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. 48.

კნ. ეკატერინე დავითის ასული, თ-დ ილია ივანეს ძე, თ-დ კონსტანტინე, დავითი, ალექსანდრე გიორგის ძენი და **კნ. ნატალია გიორგის ასული ცინციშვილები** ღრმას მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც წერილობით თუ პირადის დასწრებით პატივი სცა მათ

თ-დ ივანე გიორგის ძის ციციშვილის

გარდაცვალების გამო. 51

გავგეობა ტფ. სახალხო უნივერსიტეტისა

აქით აცხადებს პატივცემულ წევრთა საყურადღებოდ, რომ **კვირას, 2 თებერვალს,**

ძმ. ზუბალაშვილების სახლში სახლში დანიშნულია **საზოგადო**

ფლიური კრება

შემდეგი კითხვების განსახილველად: 1) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, 2) ანგარიშების განხილვა და დამტკიცება, 3) გამგეობის დამატებითი არჩევნები. კრება გაიხსნება დღის 12 ს. 50

ტელეფ. № 795. ## ქართული თეატრი **წარმოდგ. № 58.**

რადგან 3. ბუნიას საბენეფისოდ **„დონ-კარლოსი"** დეკორაციებისა და პიესის მხრით ვერ მოესწო მოსამზადებლად, ამიტომ იგი გადაიდო **კვირას, 9 თებერვლისათვის.** მის მაგიერ **ხუთშ., 30 იან.,** დადგმული იქნება **მეცხრედ**

სინათლე,

ზღაპარი-ფერია 3 მოქ. 7 სურათად.

ვისაც „დონ-კარლოსი"-სათვის აღებული აქვს ბილეთები, გამოდგება 9 თებერვალს. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. სწორედ სად. 8 საათ. ← ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

ანონსი. მზად. წარმოსადგ.: დონ კარლოსი, ედიპე კოლონაში, შენი პირიმე, ისმინე ისრაილ და სხვ. ადმ. ქართ. დრ. საზ. გამგ. 1617

ცნობა

უმაღლესებულესი სენატის განკარგულებათა და განმარტებათა კრებული 1913 წ. 9 ნოემბრისა № 253 განყ. მე-2. დამტკიცებულია სარკინისგზო შრომის არტელის **„ვარიაგის"** წესდება, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით, რუსეთის სარკინისგზო საზოგადო კანონთა დებულების მე-77 მუხლის შენიშვნის ძალით, ტომი 12, **მიიღებიან** არტელის წევრებად **ბაქოსა, ბალაჯარისა** და **სადგურებზე** ფიზიკურად ჯანსაღი პირნი, არა უმცირეს 21 წლისა. და არა ზეხნიერეს 45 წლისა. არტელის წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია. არტელში ჩაწერვის უკანასკნელ ვადად ამ წლის 24 თებერვალია. ცნობების მისაღებად უნდა მიჰმართოთ არტელის გამგეობას, რომელიც იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე სახლი № 2, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე.

1038 **გამგეობა.**

გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობზარიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა ქვირისა.

მელხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1604

ტფილისის კერძო სამკურნალო

ყელისა, ბაკურ, ხასნი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს სახლი.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლითა, ცალკე ნომრებითა და ხაერთო ოთახები. განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებ.	**ბანსკეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **ბალალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **ციქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**ბარაქოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **ველიკიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ჯიჯადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ფერბიცკი-ფიროადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **ველიკიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ციქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ბ. ნ.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯაფარიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ელ. ბუერის და ცხვირ.	**ათანიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
ყელ. და ბეენვრ. ავ.	**ლიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და ბილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშბაბუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვ. ზღვავეთიანი საფასურით. წ. 1426

ლლეიდან ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ყელ-ცხვირი და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

ბინასლოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოლოვი—ურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. ალდიანშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

ფაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914". 1023

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საოჯახო ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

1468

ნენრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორლანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

ბოლო

ბოლო

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საქარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება ხეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

ახალი კლუბი

სამშაბათს, 4 თებერვალს,

საოჯახო საღამო

„მასკარადი". დანიშნულია ოთხი ჯილდო, მიეცემათ საუკეთესო ტანისამოსისათვის და ცეკვისათვის. ქალები უნიდაბოდ ღამის 1 ს. იხდიან ჯარიმას 50 კ., კლუბში შესვლისათვის სტუმრები იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ. სტუდ.—25 კ. დაუკრავს ორი ხოროა

მუსიკა: სამხედრო და სიმებიანი. 1007

ახალი კლუბი

შაბათს, 1 თებერვალს,

საოჯახო საღამო.

თეატრის სცენაზე ცნობილი თეორეტიკოსი ხელოვნებისა, მსახიობი და ჟურნალისტი **ა. ი. პასხალოვი** წაიკითხავს **ლექციას:** „სიყვარული, ეკვიანობა და მკვლელობა". დასაწყისი საღ. 9 საათზე.

სტუმ. იხდიან კლუბში შესასვლ. კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტ. 25 კ. 1007

მარიამ მიხეილის ასულის ღოლობერიძის

სანერგეები იყიდება

საუკეთესო ჯიშის კახური ვაზები:

საფერავი ტ **რქა-წითელი** დამყნილ ამერიკულ ვაზს RUPESTRIS DULOT-ზე. ფასი—ცალი ერთი შაური. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: ბ-ნ **მამულაიშვილს,** ყვავილების მაღაზია **„ხოლეილდორი",** ერევნის მოედანზე. ადგილობრივ **სადგ. სადახლო** (ყარსის რკინ. გზა),

ბარნაბა მიხეილის ძე ღოლობერიძეს 27

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლ-ად აშენებულ ეკლესიისა და **დიდუბის** მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება **წვრილ ნაკვრებად** ხელ-მისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოდ-ლას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ **ივანეს ძე თამაშიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. **უმორჩილესად** ვთხოვთ მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** ტ კანის ავადმყოფ. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

ბ. ბ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ბლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ბლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება ხმეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ლარინგების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტ-დასრულებული

ამზადებს

მოწაფეებს ყველა საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისა. საგანგებოდ (სპეციალურად), რუსულში ტ ისტორიაში, მხოლოდ დაბალ სასწავლებლისა—ყველა საგნებში. ნახვა შეიძლება დილით 9—10-ნახ. ს.-დე, საღ. 3—4-ნახ. ს.-დე.

„კრასნოგორსკის ტუპიკი", № 3, სახ. ჯაფარიძისა, ზემო სართული. 38

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმი ნ. ...

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთა ... ლობლად დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდრ. ... ტელეფონ. ... აპრილის 10 საათი-ან. ... 5 ს.-დე.

ავადმყოფთა ... შინაგანი სნეულ. ბავშვ. ... დღე 2—3 ს.

აჭარანი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 2—11½ ს.

ბოგუსლავსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვოროხობოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ენუკოვი—ქირურგ. ავადმყ. ყოველ-დღე 11—12 ს.

შაბანაშვილი, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ახვლედიანი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეოფრასტე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ზხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და სამარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალანდარიშვილი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ეს. ქალ. ...ლიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

ბეინაცა—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდეგეგა—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ბაგდოეგი—ბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

საათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპოსი, ანალიზი, ძიებებიდან მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ბასწაკლი

ქართულ „სინდისია-ბალღობას" და ვაზიადებ ძიმღერალ-ბეგალობლ ებს გუნდისათვის, გუნდის მიზეზეა კონცერტებზე, ეკლესიებში, ოგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც. პიროობების გაგება, მოლაპარაკება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან, კვიარიმით 3—5 ს.-დე და ოთხშაბ. 6—8 ს. ბაგალის ქ. № 29. ვიღებ და ვასწავლი ნუშა ხალხაც. 1027

მ. ბოკრაშ

ექიმი (დოკტორანტი).

მ. დ. ...ინაძეშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის საეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ბაღის ქალების გიმნაზიის პირ. 1571

ექიმ ლ. ლ. ...ის

სამკურნალო

ქალ. გაძღომი.

მუდმივ სახლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი **კაბლე ალდაზიანი**

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი

ი. ზ. გაბლიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრედვე ტუბერკულინებით: 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, ბისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

ექიმი **ა. ნ. ...ასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. ცხოლიდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. სიასკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი **შ. ა. ...ელაძე**

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამის 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი **კბილისა** **ნინო ...ელაძე.**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს

ექიმი **ვ. ...ელიშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ნ. ნ. ...ავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კლინიკის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **ექვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

...ილისი, 30 ...ნვარი

სახელმწიფო სათათბირო და წარსული არჩევნები. წარსული არჩევნები ბევრის მხრით იყო საინტერესო. მან ნაადრევ ... ...

— სასალახოს მთავარ ტეხნიკოსად დაინიშნა მ. პ. ოლანჯანოვი, ხოლო მეთვალყურედ სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ეგინოვი.

✦ **ქუთაისიანთათვის** გუშინ ქალაქის გამგეობამ საავადმყოფო გახსნა დოლუხანოვის სახლში (კახეთისა და წინანდლის ქუჩის კუთხეში).

✦ **ქალაქის ახალი სასალახოს კურთხევა** ქალაქის გამგეობამ 15 თებერვლისთვის დანიშნა. გუშინ ხმოსნებია კელმა, მარტიროსიანცმა და ქანანოვმა სასალახო დაათვალიერეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 15 თებერვალს სასალახოს კურთხევა მოუხერხებელია, რადგანაც სასალახოს ეზო, აგრადვე გზა მოუკირწლავია და საჭიროა კიდევ ორი თვე მოცდა.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვამ**, რომლის განხილვაც ჯერაც არ დასრულებულა, ქალაქის საბჭოს დიდი დრო წაართვა და მრავალი მორიგი საქმე განუხედველი დაატოვებინა. ამის გამო დღეს, 30 იანვარს, საბჭოს საგანგებო კრებაა დანიშნული ძოგროვილ საქმეთა განსახილველად.

✦ **გ. ს. პეტროვის ლექციები.** ამ დღეებში ტფილისს ესტუმრება ცნობილი ლექტორი გრ. სპირ. პეტროვი, რომელიც ხუთს ლექციას წაიკითხავს. ამ ჟამად ბ-ხი პეტროვი ჩრდილო კავკასიაშია და მის ლექციებს ხალხი აღტაცებაში მოჰყავს.

✦ **მეგობრობის** შესახებ სასტატისტიკო ცნობების შესაკრებად ...ნათ-ნოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 1,950 მან. გამოუგზავნა.

✦ **სასოფლო-სამეურნეო იარაღ-ბანკანთა შესასწავლ ბიუროს** დასაარსებლად კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება საერობო თანხიდან დახმარებას თხოულობს

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის** ახალ წევრთა პირველი კრება 28 იანვარს მოხდა. კომისიის თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. რ. ფიშერი, ხოლო მის ამხანაგად—ს. ხ. სულხანოვი. ამის შემდეგ კომისია შეუდგა 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის ბალანსის გამოყვანას. როგორც ვწერდით, ხარჯთაღრიცხვის პროექტში საბჭომ ძრავალი ცვლილება შეიტანა. ამ ცვლილების მიხედვით 1914 წელს ქალაქს შემოსავალი ექნება 2,865,769 მან. 78 კ., ხოლო ხარჯი 3.555,173 მან. 78 კ. ბალანსის სხორე გამოსაყვანად საჭიროა შემოსავლის ისეთ წყაროს გამონახვა, რომლითაც დაიფარება დანაკლისი 689,404 მან. რა წყაროდან დაიფაროს ეს ფული,—ამის გამო კომისიამ დიდხანს იკამათა და გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგა საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საგანგებო კრება იქნება მოწვეული.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება დღეისთვის არის დანიშნული. კრება გახილავს საზოგადოების 1912—1913 წლის ძოქმედების ანგარიშს, რომელიც უნდა წარედგინოს 2 თებერვლისთვის დახმარებულ საზოგადო კრებას.

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრ. საზოგადოებაში. გამგეობის მორიგი კრებები ამ ჟამად ყოველ სამშაბათობით ჰხდება. მომავალ სამშაბათის კრება მოწვეულ იქნება საზოგადოების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დასამთავრებლად.

გამგეობამ 28 იანვრის კრებაზე შეცვლილად დაამტკიცა საგამომცემლო სექციის 1914 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც უკვე დაბეჭდილი გვქონდა. სასკოლო სექციის სამოქმედო გეგმაში მხოლოდ შემდეგი ცვლილება შეიტანა: გაიხსნას მომავალ სამოსწავლო წლიდან ერთი პირველდაწყებითი სკოლა ზუგდიდის ძაზრაში.

✦ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების** მორიგი კრება. 1 თებერვლისთვის არის დანიშნული. კრება, სხვათა შორის, მოისმენს მ. ლ. რენიგერ-არეშევიჩა და რ. ს. დავითიანის სამეცნიერო მოხსენებებს.

✦ მეფუტკრეთა საკრედიტო ამხანაგობა დღეიდან მოქმედებას იწყებს. ამხანაგობის კანტორა მოთავსებულია კავკასიის საბრეშუმო სადგურის შენობაში.

✦ **ქალაქის საბჭოს** სატრამვაიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ შემდეგი ხმოსნები: ა. ს. ბაღდასაროვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, თ-დი ლ. ა. ვაჩნაძე, ს. ა. გალსტიანი, პ. მ. დოლუხანოვი, მ. ზ. ქანანოვი, ს. ა. გალსტიანი, პ. მ. დოლუხანოვი, მ. ზ. ქანანოვი, ს. ა. ქსაფერიევი, მ. ვ. ლუნკევიჩი, მ. ი. მარტიროსიანცი, ...ი. ი. მინკევიჩი ზ. დ. მამულოვი და ...ა. მ. ტერტეროვი. მათ კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: ე. ა. უტეშევი და კ. ე. ანტონოვი. საგადასახადო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ზ. ნ. ზორიანი, ა. პ. ქობულაშვილი, ს. ა. მინეევი, პ. ი. სოსინი, ლ. თ. ტიგრანოვი და ს. თ. ჭრელაშვილი. საადგილ-მამულო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ. ლ. არუთინოვი, ა. ს. ბაღდასაროვი, ე. თ. ჯანაგოვი, ზ. ნ. ზორიანი, ა. პ. ქობულაშვილი, ს. ა. მინეევი, ს. მ. ნუნუფარიოვი, პ. ი. სოსინი, გ. ი. თოიძე, ს. თ. ხუნდაძე და ს. თ. ჭრელაშვილი.

სასწავლებლებში

✦ **მეორე საკადეტო კორპუსისთვის** ქალაქის თვით-მმართველობა საძხედრო უწყებას ლოტკის გორაში უფასოდ უთმობს თორმეტ დესეტინა ნახევარ საქალაქო მიწას.

სხ. მეხუთა ცხოვრება

✦ **ეჩმიაძინის აკადემია.** წელს შესრულდება 40 წელი, რაც დაარსდა ეჩმიაძინის სასულიერო აკადემია.

✦ **დახმარების შემცირება.** პეტერბურგის სომხურ ეკლესიების საბჭომ დაადგინა, შეუმციროს დახმარება სტუდენტებს იმ მოსაზრებით, რომ ისინი სწავლის „გათავების შემდეგ კარიერას მისდევენ და ივიწყებენ საერო საზოგადოებრივ საქმეებს.

✦ **ლაზარევის ინსტიტუტი.** 10 მაისს შესრულდება 100 წელიწადი ლაზარევის ინსტიტუტის დაარსებიდან მოსკოვში.

✦ **შეწირულება.** ა. მელიქოვმა 1200 მანეთი შესწირა სომხის მწერალთა საზოგადოებას.

✦ **ლექცია.** ამ დღეებში სომხურ საეთნოგრაფიო საზოგადოებაში ბ. იშხანახი ლექციას წაიკითხავს ამ სათაურით: „კავკასიის ერების ტერიტორიალური დანაწილება და მათი პროფესიონალურ-საზოგადოებრივი შედგენილობა“.

✦ **სპარსეთ. სომეხ. საზოგ.** ამერ-კავკასიაში არსდება საზოგადოება სპარსეთის სომეხთა შორის განათლებისა და კულტურის გასავრცელებლად. საზოგადოება დაეხმარება სპარსეთში არსებულ სომხურ სკოლებს და ეცდება ახლების გახსნას, გაავრცელებს სომხურს წიგნებს და მოაწყობს ლექციებს, შეაგროვებს მასალებს სპარსეთის სომხების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

✦ **ართვინ. სომხები.** ართვინის კათოლიკე სომხებს და გრიგორიან სომხებს გადაუწყვეტიათ თავიანთი სკოლები შეაერთონ და გახსნან ერთი საძ-კლასიანი სასწავლებელი 6 წლის კურსით.

✦ **კათალიკოსმა** გამოხცა კონდაკი, რომლითაც ეჩმიაძინის აკადემიას შიანიჭა უმაღლესი სასწავლებლის ხარისხი. აკადემიაში არსდება კურსები სომხური ისტორიისა, სიტყვიერების და ღვთისმეტყველებისა.

✦ **სომხ. მწერ. საზოგადოებაში** აღიძრა საკითხი, თუ რა საშუალებით ებრძოლონ ჟურნალ-გაზეთებში გამეფებულს ლანძღვასა და ცილისწამებას.

ძუთაისი

✦ 27 იანვარს ქალაქის საბჭოს მორიგ სხდომაზე დადგინეს, რომ ქალაქის მუნიციპალური საქმეების პროექტის შედგენა ნ. ნიკოლაძეს მიენდოს თანახმად მის მიერ წარმოდგენილი პროექტისა, იმ ცვლილების მოხდენით, რაც ამ პროექტში ქალაქის საფინანსო და საამშენებლო კომისიამ შეიტანა. გასამრჯელოდ და ხარჯების დასაფარავად ნიკოლაძეს კომისიის მიერ დადგენილი ერთნახევარი პროცენტის ნაცვლად მიეცემა ორი პროცენტი იმ ჯამიდან, რომელსაც სამინისტრო დაამტკიცებს.

✦ საბჭოს ამავე დღის სხდომაზე მოხსენდა ოლქის მზრუნველის წანადადება რეალური სასწავლებლის შესახებ და მიიღო სასკოლო კომისიის 23 იანვრის სხდომის დადგენილება. სასკოლო კომისიას დადგენილი ჰქოდა, ეშუამდგომლა ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ მის მიერ განზრახული ტეხნიკურ სამრეწველო სკოლის გახსნა დაეჩქარებინა. ქუთაისის ქალაქის გამგეობა სამოსწავლო მთავრობას ამ სკოლის სასარგებლოდ სწირავს საღორიის აგარაკში 50 დესეტინა მიწას და 40 ათას მანეთს. რეალური სასწავლებლის გახსნისთვის სასკოლო კომისიას ძლიერ უჭირს ქალაქის მხრით რაიმე საშუალების გამონახვა. ქალაქს შეუძლიან ამ სკოლის დაარსებისთვის სამოსწავლო მთავრობას მხოლოდ იმ მხრით ამოუჩინოს დახმარება, რომ სკოლის შენობისთვის დაუთმოს იმდენი ადგილი საღორიის აგ-რაკზე, რამდენიც საჭირო იქნება.

სიყვარული

ერთხელ დაგმობილს, ათვალწუნებულს,
არად მიჩნეულს და განამწარებს,
კვლავ სიყვარული მოადგა ჩემ გულს
და მიკაკუნებს ოთახის კარებს...
რა არის, ტრფობავ, რომ შენი სახე
ხან გამაცოცხლებს, ხან ითმკლავს კვალად,
ან შენი ყმობა რომ დავისახე
საამოსფლიო კანონად, ვალად?!.
შუაღამისას მესიზმრე მწირსა
მორთული მთვარით და ვარსკვლავებით,
ჩამოჰსულიყავ ზეციდან ძირსა
ცეცხლის მომტანი ხვევნით, მკლავებით.
შენი თმა წყვდიად ღამესა ჰგავდა,
სახე მთვარესა, ჯერ დაუცხრომელს:—
ერთი მომავალ წვას მიხატავდა
და მეორე კი—ბედს მიუწდომელს...
რად, სიყვარულო, რად მომევლინე,
რად აღძარ ჩემში ზღვა, ქარიშხალი?
საფლავს მდებარე რად აღმადგინე
ჩემივე თავის ჭირისუფალი?!.

—

გაივლის ჟამი ტრფობის ტანჯვების,
ჩავიფერფლები იმავე ცეცხლში,
რომელმაც მომცა ძალა ცხოვრების,
მაცურა ცრემლთა მდუღარე ვერცხლში.
მაგრამ მანამდე ჩემსა ლექსებში
ჩავქსოვ რითმებად ტრფობის მწველ გრძნობებს
და, ვინც მომძებნის კიდევ შემდეგში,
ჩემსა სანაცვლოდ ლექსებსა ჰპოვებს.

ჟ. ყარსი. ი. მჭედლიშვილი.

საჩხერე

✦ გვწერენ: ამ დღეებში აქაური ბრწყინვალე წრე დიდის გულმოდგინებით აწერინებს ხელს თავის თანამოაზრეებს ერთს სიაზე, რომელსაც სათაურად აწერია: „შორაპნის მაზრის უფროსის ვლადიმერ ნიკოლოზის ძის ალხოვსკის გადაყვანით გულდაწყვეტილმა მისმა თანამგრძნობლებმა კადავსწყვიტეთ, შევაგროვოთ ფული და ვიყიდოთ ძვირფასი ნივთი, რომელიც წარეგზავნების მას (ალხოვსკის) ჩვენ მიერ ნიშნად ჩვენის ღრმა პატივიცემისა“ და სხვა.

უკვე 200 მანეთამდე შეუგროვებიათ. ასეთ გულკეთილობას იჩინენ ჩვენი ბრწყინვალე პირები, განურჩევლად სქესისა, ალხოვსკის „საქმეთა“ დაფასებაში.

ბურია

✦ „ბათუმის გაზეთის“ ცხობით, ზემო ბურიაში ერ ისთავები და სხვები დიდძალ ტყეს სახელად „ნაბელავს“ დესეტინას 30 მანეთად ჰყიდიანო.

✦ გუშინდელს ნომერში მოთავსებული **გომართლის** სიტყვა „თემი“-დან არის გადმობეჭდილი.

ღღსური

დონ-კარლოსი.

ქართულ თეატრში პირველად წარმოადგენენ შილერის ტრაგედიას „დონ-კარლოსს“. ეს პიესა საუკეთესო გამომხატველია დიდებული პოეტის მსოფლმხედველობისა: აქ ყველაზე უფრო ნათელია მისი მაღალი მისწრაფება, აქ უფრო ძლიერია რწმენა ადამიანისადმი და ცის ქუხილივით გაისმის მოწოდება ურთიერთ სიყვარულისა და ნდობისათვის.

შილერს სამართლიანად უწოდებენ კაცობრიობის, ადამიანობის ვექილს და აღფრთოვანებული კეთილშობილობის დამცველს. მისი გმირები სიკეთის და სიხათლის გმირები არიან, თავგანწირულნი საერთო კეთილდღეობისთვის, მეგობრის დიდებისა და სატრფოს ბედნიერებისათვის. იგი შიგვიწვევს ზეციერებასა, ამაღლებს სულს, აგვინთებს გულში გაუკრობელს ცეცხლს და აგვავსებს სიძულვილით მოხობის ბორკილებისა, სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ჩაგვრისა და შევიწროვებისადმი. ამსხვრევს ცრუმორწმუნოებისა, კარჩაკეტილობისა და წოდებრივობის კედლებს და მკვეთრს ბახვილს აღძართავს ყოველგვარის ბატონისა და მტარვალის წინააღმდეგ.

შილერი უდიდესი რომანტიკოსია, ბრწყინვალე იდეალისტი და შარვანდედით მოსილი ოცნება თავს დასტრიალებს ყოველს მის ნაწარმოებს—ლექსს, დრამას, ისტორიულს გამოკვლევას, კრიტიკულს წერილს. იგი დრმა რწმენის, უახგარო ჰაბუკობის პოეტია ..., შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ არც ერთს მწერალს არა აქვს ისეთი მძლავრი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, არც ერთი მწერალი არ იტიცებს ახალგაზდობას ისე, როგორც შილერი. ამის მიზეზია შილერის შემოქმედების აღფრთოვანებული კილო, მისი ჰუმანიური აზრები და უკეთილშობილესი გრძნობები.

კაცობრიობა იმდენად მით კი არ ცხოვრობს, რაც არსებობს, არამედ მით, რასაც მოელის, ეტრფის, სწადია. რაც უფრო მწარეა აწმყო, მით უფრო სტიქიურია წყურვილი უკეთესისა და მომავალის. რაც უფრო დიდი წყვდიადია მოფენილი გარშემო, მით უფრო სანატრელია ნათელი, მზის შუქი. რაც უფრო მძიმეა უღელი და რაც უფრო მაგრად ჩაქდობია ჩვენს ხელსა და ფეხს ხუნდების რკინა, მით უფრო საყვარელია ხმა იმედისა, საამოა სახე ბრძოლისა და წარმტაცია, მომხიბლავი გმირობა და რაინდობა. შილერი გასაოცარის გულწრფელობით და აღტაყინებით იწვევს ჩაგრულს კაცობრიობას დღევანდელის ცხოვრების დასამხობად და ახალის, თავისუფლებასა და სიმართლეზე, ერთმანეთის პატივისცემისა და სიყვარულზე აგებულს ცხოვრების გამოსაჭედად.

გვიწვევს ჩვენც. მისი ღვთაებრივი სიტყვა ყველაზე მეტად ჩვენსკენაა მიმართული, ჩვენს დამონებულს ერს და დალაჩრებულს საზოგადოებას ეძახის განსაკუთრებით აღდგენისა და სიცოცხლისათვის. უნდა გვესმოდეს ეს ცეცხლის ძახილი, უნდა აღგვძრავდეს მხნე მუშაობისათვის, დაუღალავი მოღვაწეობისათვის, უნდა მოგვმადლებდეს შეურყეველს რწმენას პიროვნებისას და თავისუფლების მოპოვების იმედს, სისხლსა და ხორცს შეასხამდეს ჩვენს გაუბედავს განზრახვებს.

გავიხსენოთ კარლოს მოორი, რომელმაც ველარ გაუძლო ირგვლივ გამეფებულს ძალმომრეობას, ვერა გობას, მონობას და ყაჩაღად გავარდა, რომ შებრძოლებოდა საზოგადოებას და თავი შეეკლა ან თავისუფლებას მიღწეოდა. გავიხსენოთ ვილჰელმ ტელი, საზღაპრო გმირი, რომელიც წინ გაუძღვება აღდგენილს ერს და განთავისუფლებულ სამშობლოს საკურთხეველზე ჰპოვებს უმაღლეს ბედნიერებას. ყური დავუგდოთ „დონ-კარლოსის“ ტრაგედიას, ჩავუკვირდეთ მისი გმირების მშვენიერს, სულიერის სიწმინდით გასპეტაკებულს სახეებს, გულში ჩავიბეჭდოთ მათი გატაცებული სიტყვები და შევიმოსოთ მათი უკვდავი ოცნება.

აი შეხედეთ დონ-კარლოსს, ყრმას საგმირო საქმეებისთვის შობილს, უდიდესი სამეფოს ტახტის მემკვიდრეს, მეფეს ბუნებით, ნაზის, ფაქიზის სულის პატრონს, რომელსაც სწყურია სიცოცხლე თავისუფალი, რომელიც მოწადინებულია ხალხის და ქვეყნის აყვავებას, შეპყრობილია უძლიერესი სიყვარულით, მაგრამ შებორკილია გარემოებით, შეხუთულია და არ იცის, როგორ გაჰკაფოს გზა და გავიდეს სინათლისკენ. აი მისი ერთგული მეგობარი პოზა, ადამიანი უკეთილშობილესი, რომლის მსგავსი მეორე არ მოიპოვება არც ისტორიასა და არც მწერლობაში, ადამიანი, რომელსაც ხალხის ბედნიერების სიყვარული ასულდგმულებს მხოლოდ. ორი მეგობრის მოსიყვარულე სულები ერთმანეთს ჩაექსოვებიან, მათი გულები ერთის სიმით აეღერდებიან, მათი ხმები ერთს ჰანგს შესთხზავენ და წარმოშობენ ულამაზეს ოცნებას, ოცნებას, რომელიც უკვდავია, ვით კაცობრიობა, ოცნებას სიყვარულისას, ძმობის, თავისუფლების, საერთო სიხარულის, ადამიანობის. ზეადმართული მზის სხივები მოეფინება ყველაფერს.

მაგრამ აი მრისხანე ფილიპეც, საშინელი მეფე, განხორციელებული სიბოროტე, რომელმაც სისხლი მორწყო მთელი თავისი უსაზღვრო სახელმწიფო და თავისუფლების ხსენებაც კი ამოგლიჯა გულიდან თავის ქვეშევრდომებს. სასტიკად დაეტაკებიან ერთმანეთს ერთის მხრით მეფე ფილიპე და მეორეს მხრით დონ-კარლოსი და პოზა. ბრძოლა სამკვდროსასიცოცხლოა და, როგორც მოსალოდნელი იყო იმ დროს და იმ პირობებში, საყვარელი მეგობრები დამარცხდებიან, სასიზმრო ოცნების მოტრფიალენი გულ-განგმირულნი დაეცემიან ძირს.

მაგრამ არ დამსხვრეულა მათი ოცნება, იგი ისევ ცოცხალი რჩება, ისევ საწადელი, კიდევ უფრო ძვირფასი. იგი ისევ მიგვიზიდავს, ისევ გაგვიტაცებს, ისევ აგვინთებს გულში ჩამქრალს ცეცხლს და კიდევ ათჯერაც რომ დავმარცხდეთ, დავიღუპოთ, ოდნავად არ შეირყევა ჩვენი სიყვარული და მისწრაფება მისდამი, იგი არასოდეს არ განშორდება ჩვენს სულსა და გულს; ეს მაღალი ოცნება, იმედი, ლტოლვა ჩვენი სუნთქვაა და მისი სიკვდილი ხომ კაცობრიობის სიკვდილი იქნებოდა!...

სიტყვა.

საგღვდელოების კრება

28 იანვარს ტფ. სასულიერო სასწავლებლის შენობაში დაიწყო საეპარქიო და საოლქო კრებები საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებისა. თავმჯდომარედ საოლქო კრებისა, რომელსაც სასულიერო სასწავლებლების ხარჯთ-აღრიცხვა აბარია, არჩეულ იქმნა წინამძღვარი ყარსიე ტაძრისა დეკ. კომარი, ხოლო საეპარქიო კრების თავმჯდომარედ—ბაქოს სარკინიგზო ეკლესიის წინამძღვარი მღ. ს. ხუნდაძე. კრების მდივნებად აირჩიეს მღვდლები: მ. დაქიშვილი, ი. ბებიაშვილი და ლ. ვარდიაშვილი.

კრებას სულ 45 წარმომადგენელი დაესწრო. კრების დაწყების წინ ყველანი წარუდგნენ საქართველოს ექსარხოსს ყოვლად უსამღვდელოესს ალექსის, რომელმაც მათ თანამწირველობით ექსარხოსის კარის ეკლესიაში წმ. ნინოს პარაკლისი გადაიხადა. შემდეგ პარაკლისისა მთელი სამღვდელოება ეგზარხოსმა მიიწვია თავის სადარბაზო ოთახში და ესაუბრა სხვა და სხვა საეკლესიო საგანზე. ეგზარხოსმა, სხვათა შორის, სთხოვა სამღვდელოების წარმომადგენელთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ: 1) სანთლის ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რომელიც მთავარ ძარღვს შეადგენს სამღვდელოების უმთავრეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. 2) სამარხ და საიმედოეტალურო კასების ორგანიზაციის და 3) სასულიერო გამომძიებელთა ინსტიტუტის ორგანიზაციისთვის. უსურვა რა მეტი ენერგია წარმომადგენელთ მომავალ საკითხების გადასაწყვეტად, დაამტკიცა ახლად არჩეული პრეზიდიუმი კრებისა და სამღვდელოების წარმომადგენელნი ლოცვა-კურთხევით გამოისტუმრა. გუშინ, 29 იანვარს, დილით საეპარქიო კრება შეუდგა მუშაობას. ეს საკითხები შემდეგია:

ტფ. სასულიერო სემინარიისა: 1) ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკის საჭიროებისთვის გადაიდოს—300 მანეთი; 2) სამოსწავლო ბიბლიოთეკისთვის—300 მან; 3) მუსიკის სასწავლებლად და სამუსიკო დასაკრავების შესაძენად—600 მ. 4) საკაზმავ სახელოსნოსათვის იარაღების შესაძენად—600 მან. 5) სადურგლო ხელოსნობის შესასწავლად—600 მან. 6) საბადოსნო საქმის შესასწავლად—250 მან. 6) საგიმნასტიკო სავარჯიშოს მოსაწყობად—350 მან. 8) საბიბლიოთეკო შკაფების გასამართად 75 მან. 9) მოწაფეთათვის ფეხსაცმელეებისა და კალოშების შესაძენად 624 მან. 10) ორ მსახურის (ბუფეტებისათვის და სამზარეულოსათვის) დასაპერად 162 მან. და 11) კანცელარიისათვის გადამწერის დასაპერად 300 მან., ხოლო სულ კი სემინარიის საჭიროებისათვის 4161 მანეთი.

II. ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლისთვის, საელექტრონო სინათლის გამოყვანა.

III. ტფ. საეპარქიო სანთლის ქარხნის 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

ტფ. საეპარქიო სასზრუნველოს ღარიბ სასულიერო პირთა შუამდგომლობა სხვა წყაროების მოსაძებნად ავლაბარში განზრახულ თავშესაფარის ასაგებად და

IV. სამღვდელოების შესახებ 1) ეგზარხოსის წინადადება 300 მანეთის გაღების შესახებ საეგზარხოსო ხოროს შესანახ თანხის გასაძლიერებლად. 2) ...ნადადება გოროის ეპისკოპოს ანტონისა, ოთა სამღვდელოება 300 მანეთით დაეხმაროს ძის წინამძღვრობის ქვეშე ძყოფ ტფ. დარიის მოხასტერთან არსებულ ძედავითნეთა სასწავლებელს, სადაც სწავლება რუსულსა და ქართულს ეხებზე სწარმოებს. 3) ქ. უუბის ძღვდლის შუამდგომლობა შესახებ მის ეკლესიის გათავისუფლების იმ ათ თუმნის ხარჯებისაგან, რომელიც შეწეოილი აქვს სასულიერო სასწავლებლების შესახებ. 4) სოფ. საროს (ახალქალაქის ძაზრა) მღვდლის შუამდგომლობა ერთდროულ დახმარების შესახებ სასიხოდო კანტორის თანხიდან. 5) შუამდგომლობა ბლაღ. მღვ. ხვთისავარი შვილისა ს. ძიოზაახის ეკლესიის კრებულისათვის 400 მანეთის ჯაჭაგირის დახმარების შესახებ და 6) სიოხის საკათედრო ტაძრის წინ ძოედნის გაძართვის შესახებ.

კრება 10 დღეს გაგრძელდება.

ქართული საღამო ბაქოში

ქართული საღამოები ბაქოში ტოალიციად გადაიქცა. ოცდა სამი წელიწადია, რაც ეს საღამოები იმართება, ასე რომ ორი წლის შემდეგ ბაქოელები ალბად საიუბილეო საღამოსაც მოაწყობენ. უკვე ვფერდით, რიმ აქაურ ქართველებს უყვართ ეს საღამოები. ყოველი ოჯახი თავის მოვალეობადა სთვლის დაესწროს და თავისი წვლილი მიიტანოს. წინად, როცა ქართველობა ნაკლებად იყო ბაქოში, უთავრეს შეეოსავალს ორა ქართველი იძლეოდნენ, დღეს—კი დიდი ხაწილი იისა, რასაც საღამო იძლევა, ქართველების ჯიბიდან ამოდის.

წიხადაც და ეხლაც აქაურები ამ საღამოების შეეოსავლით უძღვებოდნენ თავიანთ კულტურულ დაწესებულებებს. თითქმის არც ერთი საღამო არა ყოფილა ამ ოცდა სამი წლის განმავლობაში, რომელსაც ოთხი ათას მანეთზე ნაკლები წმინდა შემოსავალი მოეცეს. მაგრამ წლევანდელმა საღამომ ყოველსავე ძოლოდინს გადააჭარბა: სოული შემოსავალი ცხრა ათას მანეთამდე იქნება, ასე ოომ წმინდა შვიდი ათას მანეთამდე დარჩება. საღამოს ასეთი შედეგი ნაყოფია ქართველ მანდილოსანთა იმ ერის მრომისა, რომელიც კნ. თამარ დადიანის მეთაურობით საღამოების მოწყობის საქმეს უძღვება.

საღამო გაიმართა საზოგადო საკრებულოს დარბაზში. პირველად დაიდგა ცაგარლის პიესის „მათიკოს“ შესაძე ძოქმედება. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ხი ქ. ანდრონიკაშვილისა და ბ-ხნი დ. აწყურელი, გვარაძე, პავლიაშვილი და ძეგრელი. პიესამ მხიაროულად ჩაიარა.

შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, რომელიც ორი ნაწილისაგან შესდგებოდა. ამ განყოფილებაში მოხაწილეობა მიიღეს: მოწვეულმა მომღერლებმა ქ-ხმა საბახეევამ და ბ-ხებმა ი. სარაჯიშვილმა და ი. ტოძაშვილიჩმა და ადგილობრივმა მსახიობებმა—ქ-ხმა ალეზი-ვოლსკაიამ და პეტროვმა. ყველა მონაწილე საზოგადოება ხახგოძლივის ტაშით ეგებებოდა და ისტუმრებდა. დიდად ძოიწოხა საზოგადოებამ ქ-ნ საბახეევას და სარაჯიშვილის სიმღერა. ამ უკანასკნელის „გენაცვალეთ“ ხომ ხამდვილი აღტაცება გამოიწვია. თითქმის ყველა ნომერი იმაზე მეტი ამღერეს, რაც პროგრამაში იყო აღნიშნული. იყო დეკლამაციაც: ადგილობრივი დასის არტისტმა პეტროვმა წაიკითხა ლერმოხტოვის „მწირი“.

ზემოდ ჩამოთვლილთა გარდა ამავე საღამოში მოხაწილეობა მიიღო ახალგაზრდა მომღერალმა ვ. ლორთქიფანიძემ, რომელიც ძლიერი და ტკბილი ბასი აქვს. ლორთქიფანიძე ჯერ სწავლობს და მალე იტალიაში აპირებს გამგზავრებას სწავლის დასამთავრებლად. საზოგადოებას ძოეწოხა ლორთქიფანიძე.

დასასრულ, სცენაზე ლეკური გაიმართა. იცეკვეს ქ-ხმა ანდროხიკაშვილისამ და აწყურელმა, ქ-ნმა ციმაკურიძემ და ბაგრიტიონმა, ქ-ნმა იაკაშვილისამ და აბაშიძემ. ცეკვა, ადგილობრივი და ევროპიული, მერე დარბაზშიაც გაიმართა.

საკონცერტო განყოფილების შემდეგ ხალხი სხვა დარბაზებში გაიფანტა, სადაც ჩვენი მანდილოსნები ჰყიდნენ ნივთებს, ყვავილებს და სხვას. „ვაჭრობა“ მართლა რომ კარგი იყო: მარტო ყვავილები 1300 მანეთისა გაჰყიდეს. ბუფეტში, რომელიც იმავე მანდილოსნებმა მოაწყეს თავიანთის ხარჯით, გაიმართა ქართველური ლხინი, და ნასიამოვნები ხალხი მხოლოდ დილის 7 საათზე დაიშალა.

ქართული ენა სოხუმის ოლქის სკოლებში

(დასასრული *)

ზოგიერთ სკოლის მასწავლებელი იმდენად კი არის მომზადებული, რომ

*) იხ. „სახალ. გაზ.“ № 1102.

თამამად შეუძლიან ქართული ასწავლოს სკოლაში. მაგრამ, რათა დაიმსახუროს უფროსთა ყურადღება, ამ საგანს ის გაურბის, როგორც ურია ღორია ხორცსა. აი მაგალითი, პირველი გალის ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლის მასწავლებელი თავის სკოლაში ქართულს არ აჭაჭანებს, თუმცა ასეთი საქციელით ვერაფერი „წინსვლა“ შეუძენია. ამავე ტიპის ოქუმის ორკლასიან სამრევლო სკოლაში ერთი მასწავლებელი რუსია, მეორე კი ადგილობრივი მცხოვრები. ეს უკანასკნელი ცოტად თუ ბევრად ასწავლის ქართულს. მაგრამ რაკი შეგირდები მეორე მასწავლებლის ხელში გადავლენ, იქ სწყდება ქართულის სწავლებაც. ოქუმელები იმასაც სჩივიან, რომ მათ ამოდენა ხანია ქართული წერვა-ლოცვაც არ ესმით.

ამავე ტიპის (ე. ი. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების) ს. საბერიოს სკოლის მასწავლებელთანაც მქონდა ლაპარაკი მისდამი რწმუნებულ სკოლაში ქართული ენის სწავლების შესახებ; მე ვიკითხე: ვინ და რომელ განყოფილებას ასწავლით-მეთქი? „მე ვასწავლი უფროსს განყოფილებებს. ხოლო მეორე მასწავლებელი I-სა და II-საო“, იყო პასუხი. რადგან მეორე მასწავლებელი ბზიფელი აფხაზი იყო და მას ქართულის სწავლება არ შეეძლო, ცხადი იყო, რომ ქართული ამ სკოლაში „მოიცალ ფეხებდა“, მაგრამ მე მაინც დავეკითხე: მაშ, ქართულს არ ასწავლით-მეთქი? როგორ არა, ჩემს განყოფილებებში რომ გადმოვლენ ბავშვები, ქართულს ვასწავლი, თუმცა იგი სავალდებულო არ არისო.

ზემოხსენებული მასწავლებელი ადგილობრივი მცხოვრებია, ქართულ გვარს ატარებს, განათლება სემინარიაში მიუღია, და ასეთი პირი საბერიოს (ინგურის პირას მდებარე სოფელია) სკოლაში ქართულ სწავლებას სავალდებულოდ არ სთვლიდეს, ეს ცოტაც არ იყოს საწყენად მივიჩნიე... არ გვანებია ხომ, მკითხველო, ეს მასწავლებელი მასწავლებლებს ბ. ვლ. ნაცვლიშვილსა და ა. ოდიშარიას.

ეს მასწავლებელი ფორმალურადაც მართალი არ გახლავს. სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს მიერ დამტკიცებულ და გამოგზავნილ გაკვეთილების ნუსხაში აღნიშნულია სამშობლო ენა და ამ სამშობლო ენად იმ სკოლებში, სადაც მეგრელები სწავლობენ, ქართული მიაჩნიათ და ქართულ სახელმძღვანელო წიგნებს „დედა-ენას“ და სხვ. ასეთ სკოლებს უგზავნიან კიდეც. ერთერთ მეგრულ სკოლაში ეპარქიის მეთვალყურეს ბ. ალფეროვს კიდეც ეთქვა ქართული უნდა ასწავლოთო და ასეთს გარემოებაში როგორ არ უნდა მიაჩნდეს მასწავლებელს საბერიოს სკოლისას ქართული ენა სავალდებულო საგნად?!.

ზოგან ცოტად თუ ბევრად ვითომ სკოლაში ქართულს ასწავლიან. თუ ქართული არ ვასწავლეთ, იქნება სლავიანური ენის სწავლება დაგვავალონო. (ასე მითხრა ერთმა მასწავლებელმა).

არის სამურზაყანოში ორიოდე ისეთი სკოლაც, სადაც ქართულს როგორც სავალდებულო საგანს ასწავლიან კიდეც. ასეთი სკოლების მეთვალყურე მღვდლები და მასწავლებლები ჩვენან: ვასწავლით ქართულ ენას, ამ საგნის სწავლებაშიც მიგვდის ჯაფა, მაგრამ ჩვენს შრომას არავინ აფასებს ე. ი. არც რევიზიის დროს და არც გამოცდაზე ამ საგანს არ კითხულობენო. ამიტომ შემდეგ წლებში ზოგ მასწავლებელს ამ საგნის სწავლებაზე გული უცრუვდებაო. სახალხო მასწავლებელი, რომელსაც უკისრნია ბავშვის აღზრდა-განათლება არავითარ გარეგან წამაქეზებელ რამეს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს და ბავშვისა, მისი მშობლებისა და საზოგადოების წინაშე თავისი აღმზრდელობითი მოვალეობის შესრულებისაგან გამოწვეულ სულიერ კმაყოფილებასა და სიმშვიდეში უნდა პოულობდეს საკმაო ჯილდოს თავის მძიმე შრომისათვის, მაგრამ ასეთ მასწავლებელთა რიცხვი არამც თუ აქ, არამედ სხვაგანაც თითით ჩამოსათვლელია. ამიტომ ზემო აღნიშნულ მეთვალყურე - მასწავლებელთ დრტვინვა-საჩივარი მთლად უსაფუძვლო არ არის. ეს მით უფრო, რადგან ვინ გვითავდებებს, რომ ქართული ენის გაკვეთილები მართლა ამ საგანს მოახმარა მასწავლებელმა. ერთი სიტყვით, თუ სხვა საგნის სწავლებას სჭირია დახედვა და კანტროლი, ნუთუ. ეს ქართულს არ ესაჭიროება?

სამინისტრო სკოლების ინსპექტორი და საეპარქიო მეთვალყურე ხომ რუსები არიან. ის კი არა, სამაზრო მეთვალყურედაც ისეთ აფხაზებს ნიშნავენ, რომელთაც ქართული არ იციან. ამ ორიოდე წლის წინად დავეკითხე სოხუმის ოლქის სამაზრო მეთვალყურეს მ. ნ. ლადარიას. ქართულ ენაში როგორ გამოცდით სამურზაყანოს სკოლებში მოწაფეებს მეთქი! იმან გულ-ახდილად მიპასუხა: ბავშვები რაღაცას კითხულობენ ან ამბობენ ზეპირად და მე თავს უქნევ ნიშნად თანხმობისა, თუმცა არაფერი გამეგებაო. ახლა სამაზრო მეთვალყურედ მ. პატეიფა გახლავს, ესეც ბზიფელი აფხაზი.

საქმის მდგომარეობა იმას მოითხოვს, რომ სამაზრო მეთვალყურემ აქ უნდა იცოდეს როგორც აფხაზური, ისე ქართულიც. ასეთი პირის მოძებნა ძნელიც არ არის. მაგრამ თუ ერთი პირი ვერ მოიძებნა ასეთი, ორი მეთვალყურე უნდა დაინიშნოს, რომელთაგან ერთმა ქართული სკოლები უნდა ინახულოს, მეორემ აფხაზური. დროებით კიდეც დაინიშნა ოლქში ორი მეთვალყურე, მაგრამ ორი ზემოხსენებული პირნი, ორივე ქართულის უცოდინარნი.

გალის მეორე კლასიან სკოლიდან ქართული ენა განდევნილია. ამ საწავლებელში კურს დამთავრებულნი შემდეგ ეგზამენს იქერენ სოფლის მასწავლებლის ხარისხზე და ასეთებია მომეტებულად საეკლესიო სკოლების მასწავლებელნი სოხუმის ოლქში. და რაც თვითონ არ უსწავლიათ, როგორ უნდა ასწავლონ მოწაფეებს?!

ამ წლის გაზაფხულზე სამურზაყანოს სამღვდელოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ ს. გალში და ყ-დ სამღვდელო სოხუმის ეპისკოპოსი ანდრიას თავმჯდომარეობით მსჯელობა ჰქონდათ ქრისტიანობრივის ცხოვრებისა და სწავლა-განათლების გაუმჯობესობაზე სამურზაყანოში. აქ, სხვათა შორის, აღძრეს საკითხი, რომ გალის მეორე კლასიან სასწავლებელში შემოეღოთ ქართული ენის სწავლება. ასწავლეთ, ვინ გიშლისთო, ბრძანა თურმე მათმა მეუფემ. რუსული ენის შესახებ რომ ვინმემ თქვას: ისწავლეთ რუსული ენა, ხომ არავინ არ გიშლით რუსულის სწავლასო და ამ საგნის სწავლების მოწესრიგებაზე არავინ თითიც არ გაანძრიოს, ხომ არ შეიძლება?

მარტო ნებართვით, მარტო არ დაშლით ქართულის სწავლება ხომ ვერ გაჩაღდება სკოლაში, თუ მასწავლებელნი ამ საგნის სრული უცოდინარნი იქნებიან, თუ ქართული ენა გაკვეთილების ნუსხაში შეტანილი არ იქმნა, თუ ბ. ბ. რევიზორები რევიზიას არ გაუკეთებენ ამ საგნის სწავლებას, და პირიქით კიდეც უსაყვედურებენ მასწავლებელს ქართული ენის სწავლებას. საშუალების უქონლობითაა საქმე დაბრკოლებულია, რომ შეიტყვეს მღვდლებმა, ერთმა მათგანმა, ვგონებ, მ. ბ. ხარებავამ მოახსენა ყ-დ უსამღვდელოესობას: ჩვენ თვითონ დავაარსებთ ფონდს გალის მეორე კლასიან სკოლაში ქართული ენის მასწავლებლის შესანახად, გთხოვთ აკურთხოთ ჩვენი დაწყებულებაო. მაგრამ სხვაზე გადავიდნენ და ეს საკითხი გადააფუჩეჩეს.

იმ მღვდელმთავრისგან, რომელმაც ქართული ლოცვანი დაურიგა მლოცველ ქრისტიანებს ბეღიაში და რომელიც აფხაზურისა და ქართულის მდევნელად სამართლიანად არ ითვლება, სამწყსო (სამურზაყანოელები და მეგრელები ოლქისა) ცოტა მეტს მზრუნველობას მოელოდა გალის მეორე კლასიან სკოლაში და სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების მოწესრიგების საქმეში.

ვერც გალის მეორე კლასიან სკოლაში სღმრთო სჯულის მასწავლებელმა და სკოლის ზედამხედველმა და ვერც მასწავლებელმა გამოიჩინეს საკმაო საქმიანობა, რომ ამ სასწავლებელში ქართულის სწავლება შემოეღოთ. ის კი არა, ამ ორ პირთა მეოხებით მთლად მოისპო ერთხელ შემოღებული ქართულის სწავლებაო, ამბობენ ზოგიერთები და მეც ასე მგონია.

მას ნულარ ვჩივით, რაც უკვე მოხდარა, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“ და ზემოხსენებულ პირთ ახლაც შეუძლიანთ გამოასწორონ თავისი შეცდომა: მოინდომონ და მოითხოვონ ქართულის შემოღება სასწავლებელში. საშუალება ადვილი აღმოსაჩენია. ვნახოთ, რას იზამენ.

რადგან სოხუმის ოლქის ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ ვლაპარაკობ, უნდა ვახსენო სოხუმის ქართული სკოლაც. მე ამ წელს პირველად ვნახე ეს სასწავლებელი, რომელმაც ბევრი საიმედო აზრები აღმიძრა გულში. ვაშა სოხუმის ქართველობას, რომელმაც ასეთი მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ამ საშვილიშვილო საქმეს. მე ქართულ სკოლაში 11 ოქტომბერს შევიარე. სკოლის გამგემ ბ. ნ. ჯანშიამ დიდის კმაყოფილებით დამათვალიერებინა სასწავლებელი.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ რამე იღონოს, რომ ქართულის სწავლება შესაფერ დონეზე დააყენოს სოხუმის ოლქის ქართულ სკოლებში („განათლება“). პ. ჭ—ა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

29 იანვარი.

უცხოეთი.

ცეტინიე. სკუპშჩინაში პრეზიდიუმი აირჩიეს. თავმჯდომარედ აირჩიეს სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფი დოშიჩი.

ლონდონი. 29 იანვარს გაიხსნება პარლამენტის სესია. ყველა პარტია ამ სესიის გახსნას დიდ მნიშვნელობას აწერს. ინგლისის პარლამენტის ისტორიაში ეს ამბავი ყოვლად ღირს შესანიშნავია. ყველაზე ძლიერ ინგლისს აინტერესებს ულსტერის საკითხი, მთავრობამ გადასწყვიტა გაიყვანოს ჰომრულის ბილი; ულსტერიც ირლანდიის პარლამენტის იურისდიკციაშია მოყოლებული. შესაძლებელია ბილის მიღებისას ქვედა პალატის ოპოზიციამ აღძრას მეფეს „veto“-ს საკითხი.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გრეისა და საკი-პაშის მოლაპარაკება დასრულდა შეთანხმებით, დაიდვა ხელშეკრულება სპარსეთ-ოსმალეთის საზღვარზე, სხვა ხელშეკრულებანი ეხება ტიგრისა და ეფრატის ნაოსნობასა, ნავთისა, მაგარ სასმელებისა, ქაღალდისა და თუთუნის მონოპოლიას, ბაღდადისა და კოვეიცის გზებს და სხვა. ეხლა ელიან სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკების დასრულებას.

პეკინი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სიუნსლინს ჩამოართვეს ფინანსთა მინისტრობა; მის ნაცვლად ფინანსთა მინისტრად დანიშნეს გზათა მინისტრი ჩჯოუძიცი, გზათა სამინისტროს მართვა-გამგეობა მიანდეს შინაგან საქმეთა მინისტრს.

ბერლინი. გერმანიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს წლიური კრება დაიწყო. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, საცა აღნიშნულია საფრთხე ეროვნულ-ეკონომიურ საქმეში, გერმანიის დამოკიდებულება უცხოელ მუშებზე. სასოფლო-სამეურნეო კრება მოითხოვს უცხოელი მუშები თანდა-თან ჩამოაცალონ მეურნეობას. სავაჭრო პოლიტიკის საკითხებში ერთნაირი ყურადღება უნდა მიექციოს მეურნეობასა და ინდუსტრიას. უნდა გაუმჯობესდეს სამეურნეო მუშათა მდგომარეობა და ღონისძიებანი იქმნას მიღებული მცხოვრებთა რაოდენობის შემცირების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ტოკიო. ხიშიაში გაიმართა მიტინგი, დაესწრო 40.000 კაცი. მიტინგის რეზოლიუცია კაბინეთის გადადგომას მოითხოვს. ქვედა პალატამ ხმის უმრავლესობით უარჰყო კაბინეთისადმი უნდობლობის გამოცხადების წინადადება. ამან მეტად აღაშფოთა ხალხი, რომელიც პარლამენტთან იყო შეკრებილი, ბრბო პარლამენტის ეზოში შეიჭრა. პოლიციამ წინდაწინვე ღონისძიებანი მიიღო.

სტოკჰოლმი. მეფემ ზომიერ-liberalს ბარონ გეერუს დაავალა კაბინეთის შედგენა.

ლონდონი. გაიხსნა პარლამენტის სესია. მეფემ სეფე სიტყვა წარმოსთქვა. აღნიშნა მეგობრული ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა დიდ სახელმწიფოებთან ალბანიისა და ეგეის კუნძულთა საკითხზე; ამით ინგლისს ჰსურდა შეესრულებინა ლონდონის კონფერენციის დადგენილებანი; იმედია, რომ კონფერენციის დადგენილებანი დაიცავს მშვიდობიანობას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, საერთაშორისო კომისიამ აღბანეთის ავტონომიის მოწყობაში ღონისძიებანი მიიღო შფოთისა და მღელვარების ასაცდენად. მოლაპარაკება ოსმალეთთან და გერმანიასთან სასურველ ხასიათს იღებსო.

საშინაო პოლიტიკის თაობაზე მეფემ სთქვა: ის განზრახვანი, რამაც წარსულ სესიაში ორ პალატის შორის უთანხმოება გამოიწვია კვლავ უნდა განიხილოს პარლამენტმა; მეფემ სინანული გამოსთქვა, რომ ირლანდიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა ჯერ-ჯერობით ვერა ხერხდება. დასასრულ მეფემ ჩამოსთვალა ყველა ის კანონ-პროექტი, რომელიც მიმდინარე სესიაში უნდა წარედგინოს პარლამენტს. მეფემ უსურვა პარლამენტს ნაყოფიერი მუშაობა

მარმარაშ-სიგეტი. უგრორუსთა პროცესი. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა გრძელდება.

სტოკჰოლმში. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კაბინეთის კრიზისი გამოწვეულია მეფის საპასუხო სიტყვით გლეხთადმი. მთავრობა მეფესა სთხოვდა სიტყვა მიეცა, რომ მისი პასუხი არ იქნებოდა სახელმწიფოებრივ აქტად, ვიდრე სახელმწიფოს თავდაცვის კანონ-პროექტები არ იქნება განხილული ჯეროვანის წესისამებრ. მეფემ უპასუხა, რომ მას არ ჰსურს სამინისტროს დაუთანხმელად რაიმე პოზიცია დაიჭიროს. ამასთანავე მთავრობამ სთხოვა მეფეს წინდაწინვე გაეცნო სამინისტროსთვის მისი შინაარსი, თუ მეფე პოლიტიკურ საკითხებზე მოისურვებს განმარტების მიცემას. მეფემ ეს პირობა არ მიიღო, მან განცხადა, რომ ხალხთან თავისუფლად ლაპარაკის უფლება აქვს. მთავრობამ თანამდებობიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა.

ტოკიო. პარლამენტის ეზოში ხალხსა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. ორივე მხრივ დაჭრილია რამდენიმე კაცი. წესიერების აღსადგენად მოიწვიეს ქვეითი ჯარი, ჯარმა პარლამენტის შენობას ალყა შემოარტყა. როდესაც დეპუტატები იშლებოდნენ, ხალხი თავს დაესხა რამდენიმე დეპუტატს, რომელთაც მთავრობას ნდობა გამოუცხადეს.

ლონდონი. ორივე პალატაში შეაქვთ პროექტები სეფე სიტყვის საპასუხოდ.

სტამბოლი. მთავრობამ პროვინციებში მიწერილობა დაგზავნა შეაჩერონ დროებით არჩევნები, რათა სომხებს, თანახმად ოსმალეთ-რუსეთის ხელშეკრულებისა, საშუალება მისცენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

რუსეთი.

თემირ-ხან-შურა. ღამით ძლიერი მიწის ძვრა იყო.

კიევი. სამხედრო-საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე მძიმე არტილერიის დივიზიონის მოხელეებად ნამყოფთა, რომელთაც სახაზინო ფულის გაფლანგვა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავეებად იცნო და სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯა.

პიატიგორსკი. ღამით მიწა ძლიერად იძრა.

ეკატერინოდარი. ნოვომალაროსიისკში შეიპყრეს 2 ბოროტგამზრახველი, რომელთაც სამრეწველო ბანკის მეარტელე გასცარცვეს. მათ აღმოაჩნდათ 2.000 მანეთი.

სევასტოპოლი. საზღვაო სასამართლომ ორი წლის ციხე მიუსაჯა მეზღვაურებს შარბაშსა და სკლიაროვს. მათ ჰბრალდებათ მონაწილეობის მიღებ 1905 წ. „პოტიომკინ ტავრიჩესკის“ ჯავშნოსანზე შეიარაღებულ აჯანყებაში.

კიევი. ფასტოვში ებრაელ ბავშვის იოსელ პაშკოვის საიდუმლო მკვლელობის გამო დაეპატიმრეს მოკლულის მამა და მისი ნოქარი ებრაელი. ბავშვს კისერზე 13 ჭრილობა აღმოაჩნდა, მოკლულის გვამი საფლავიდან ამოიღეს და წაიღეს კიევში სამედიცინო გამოძიებისათვის.

თეატრი და ხელოვნება

დღეს ქართულს თეატრში ვ. გუნიას საბენეფისოდ უნდა წარმოედგინათ შილერის „დონ-კარლოსი“, თარგმანი ა. შანშიაშვილისა. რადგანაც ამ სერიოზულ პიესის ჯეროვანი მომზადება და დეკორაციების დახატვა ვერ მოუსწრიათ, გუნიას ბენეფისი 9 თებერვილისათვის გადაიდო. მის მაგიერ დღეს მეცხრედ წარმოადგენენ ი. გედევანიშვილის „სინათლეს“. ფასები ჩვეულებრივია.

შექსპირის იუბილე. წელს აპრილის დამლევს შესრულდება 350 წელიწადი მსოფლიო დრამატურგის უილიამ შექსპირის დაბადების დღიდან. დანამდვილებით არ იციან, რომელ დღეს დაიბადა შექსპირი, ფიქრობენ, რომ 23 აპრილს. მისი მონათვლის დღე კი 26 აპრილია. ევროპის სხვა და სხვა ქალაქში უკვე შეესდგა კომიტეტები შექსპირის იუბილეს აღსანიშნავად.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მასტარეგელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან ბაქ�იკენ.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-სანბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

ბათომიისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სან.** დილ. 8 ს. 2 წ № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისაკენ: **სან.** № 14/13, დამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე დ. მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისი ზოლის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 ხაფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევანიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის სავადმყოფოები

ნიკოლაევი— პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ბაღიდან.

ავლაბრისა—კაბეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა. 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მთავარი ანიან ოარიან მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის სავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავიანის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალ, დ.ე.ბ.ლ.ი.ა. ან. ან. ღ.ე.ს.ნ.ე. ინახულოს ავადმყოფი. გარდა საჭიროა ხელმოწერილ.ბ.ისა, როცა დარიგება დაუწერ.ნ.ბ.ლ.ი.ვ. უნდა მისცეს.

ს. ა. გრიაზნოვი

სხვა მასწავლებლებთან ერთად

ამზადებს

გიმნაზიის, რეალურ ს კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შეგიდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერ. მე-6 კლას. მარიამობისთვის. ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა,** იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

სასანიტარო ეპიზოდები

უბნები: 1—2 **ბ. ფომინა-ოსიპოვა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და **რუსის ბაზარში ქრ. ლ. ალანიანცი** (სოლოლაკი, ამადლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ნი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის ქ., 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **ვ. ი. ნანიაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მარაქუევი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არდაგვეცუდს საჯმელ-სასმელს აკეთებენ და ჭიდან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან ვარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში ოსტინსკუჩაზე, ნ4, ელისაბედის ქუჩა 56 და ბელაკანის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **ბ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **ს. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის ვეს, 4. ტელ. 680).

5—6 **ტ. მ. თბილელიანი** (ვლადიმირის ქ. № 2, ტელ. 619).

6—7 **ბ. ლ. ძაბაღლიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელ. 15—27).

8—9 **ე. ბ. ზელიან-ზაბნაზაროვი** (ბაზრის ქ., № 23).

10, 11—12 **ი. ბ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე-და ღამე. საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჯი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ბაქმნავასარდლიანის

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ქუჩის ბინაზედ

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

ჯ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეუზიკაუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნაგანარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. ვ. ბაბანარიანი: 1—2 ს. ბავშვთა ინფაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბაბანიანოვი: 10—11 ს. საბ ვნიერ ქალებისა და ბავშვებისა.

ვ. ვ. ბენერამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ბ. ვ. ბეგლარიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საზ. და ქირურგ.

ბ. ბ. ბარბეტიანი: 12—1 ს. შინაგანი, ავადმყოფი ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვა** 1—2 ს. სანდნიოო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ვ. ბეგლარიანი: 6—7 საათ. რიგევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძვირიგებით.

საამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ბ. ნაგანარდიანი.

1004

ქ. ფ. ნ.-ა. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ჩვენი ბელეტრისტიკა:

არაგვისპირელი ფ. წ. 1-ლი	50	კ.	
„ „ „ 2-ე	40	„	
„ „ „ 3-ე	40	„	
„ „ „ 4-ე	50	„	
„ შიო თავადი	60	„	
აბაშელი. მზის სიკილი	50	„	
არჩილელი. ყოველის მხრიდან	10	„	
ერდაზიანი. მეჯღანუაშვილი	50	„	
ახნაზაროვი. ლექსები და სცენები	60	„	
ახოსპირელი. ჩემი ნანინა	10	„	
ბარათაშვილი. ლექსები	40	„	
ბაჩანა. დიაკვნიანი	20	„	
ბესიკი.	1 მ.—	„	
გაბაშვილი ე. თხზულებანი	1 მ. 20	„	
განდეგილი. ლექსები და მოთხრობები	50	„	
გედევანიშვილი. გამცემი	25	„	
გრდემლი. სალიტერატურო კრებული ფ. 1-ლი	1 მ. 50	„	
„ „ 2-ე	1 მ. 50	„	
გრიშაშვილი. ოცხ. კოცნა	10	„	
„ ბროლის ლიმილი	10	„	
გურამიშვილი დ. „დავითიანი“	1 მ.	„	
დუტუ-მეგრელი ტ. 1 ლექსები	70	„	
„ „ 2 მოთხრობ.	70	„	
ერისთავ-ხოშტარია. კამისია	15	„	
„ მოლიპულ გზაზე	1 მ.—	„	
„ ბედის ტრიალი	60	„	
ერისთავი რ. თხზ. ტ. 1.	1 მ.—	„	
„ „ „ 2.	40	„	
ერისთავი გ. რჩ. ნაწერები	60	„	
ერისთავი დ. დრამ. თხზ.	1 მ.—	„	
ევდოშვილი. ლექსები და პოემები	60	„	

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. гр. гр. нас.

თეგზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.